

ველზე ნუგზარ პაპუაშვილის მიერ შემუშავებული ცნება „მორწმუნეობის კულტურა“ თუ რა იგულისხმება ამ ცნებების ქვეშ, მკითხველი იპოვის გამოკვლევის იმ ქვეთავში, რომლის სათაურია „მორწმუნეობის კულტურა და თავისუფალი მოქალაქეობა“ (გვ. 228-232). მორწმუნეობის კულტურის ცოცხალ მაგალითად წარმოგვიდგება მუსლიმ აზერბაიჯანელთა და ქრისტიან ქართველ-სომეხთა ურთიერთშეთანხმებული და თანადროული ლოცვა 1905 წელს ბაქოში მომხდარი სისხლიანი ეთნოკონფლიქტის გამო (გვ. 109-110, 229-230).

გამოკვლევაში ფართოდაა მიმოხილული პატრიარქ კალისტრატეს მეცნიერული მემკვიდრეობა. მკვლევარს ღრმად აქვს გააზრებული და სათანადოდაც შეფასებული ეს ნაშრომები. ის ნებისმიერი დონის მკითხველისათვის გასაგებ ენაზე, ლაღად, მარტივად და ლაკონურად გადმოგვცემს ამ მრავალმხრივ საინტერესო ისტორიულ-თეოლოგიური ხასიათის ნაშრომთა ძირითად აზრსა და დანიშნულებასაც.

პატრიარქ კალისტრატეს ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის კვალდაკვალ მკვლევარი საინტერესოდ აღწერს იმ მძაფრ ქარტეხილებსაც, რომლებიც XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს და მის ეკლესიას დაატყდა თავს. ასე რომ, ამ წიგნს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უახლესი ისტორიაც შეიძლება ეწოდოს.

თამარ მესხი

Zaal Andronikashvili, Tatjana Petzer, Andreas Pflitsch, Martin Tremel (Hg.), Die Ordnungpluraler Kulturen. Figurationen europäischer Kulturgeschichte, vom Osten her gesehen, Zentrum für Literatur- und Kulturforschung Berlin, Kulturverlag Kadmos, Berlin, 2013, 410 S.

წინამდებარე კრებული გამოიცა 2013 წელს ბერლინის ლიტერატურისა და კულტურის კვლევის ცენტრის თანამშრომლების მიერ გერმანიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „ევროპის მრავლობით კულტურათა ტოპოგრაფიები „ევროპის აღმოსავლეთით გადაწევის“ გათვალისწინებით.“ როგორც პროექტისა და წიგნის სათაურებიდანვე ჩანს, ავტორ-შემდგენელთა და კრებულის დანარჩენ ავტორთა (იანის აუგსბურგერი, ესთერ კილჰმანი, ჰელენ პრუიბილა, ვაჰტახანი, ბარბარა ვინკლერი) კვლევის საგანი ის სხვადასხვა კულტურული ხატებები და სტრატეგიებია, რომელთა მეშვეობითაც ხდება ცივი ომის დასრულებისა და ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ ევროპის აღმოსავლეთით გადაწევის (რაც „გაფართოების“ ევფემიზმია?) შედეგად მი-

ღებულ ახალი წესრიგის განსაზღვრა. განსაზღვრა, მთელი თავისი ორანზროვანი დატვირთვით, ამ შემთხვევაში გულისხმობს ევროპის ჩვეული საზღვრების მოშლას და, ამავდროულად, ახალი საზღვრების დადგენის ძალისხმევას, რის ავტორადაც მარტო დასავლური ევროპა არ გვევლინება, თავისი პრობლემური ორიენტალისტური თუ სხვა ევროპოცენტრული პერსპექტივებით, რომელშიც, როგორც ერთ ქვაბში, ხარშავს მის სამხრეთ თუ აღმოსავლეთ საზღვრებზე ჩამწკრივებულ ყველა კულტურას – არაბულს, ბალკანურს, თურქულს, ებრაულს, კავკასიურს, სლავურს –, რათა იმუნური დარჩეს იმ „მომხდურებისგან“, იმ „სხვებისგან“, რომლებიც თითქოს მის ჰომოგენურ, თვითკმარ და აღმატებულ სხეულს გაუწმინდურებით და ამღვრევით ემუქრებიან. თავად ევროპის კიდებზე განთავსებული ეს უკვე ხსენებული კულტურებიც თავისთავად ცდილობენ ევროპასთან მიმართებაში თავიანთ ზღვრულ, კიდურ (სიტყვასიტყვით მარგინალურ) მდებარეობას და მდგომარეობას ან პოზიტიური სახე მისცენ და საკუთარი თავი უფრო მკაფიოდ ჩაწერონ ევროპის რუკის ფარგლებში ან, პირიქით, გაემიჯნონ მას, როგორც გამრყენელს – მოდერნიზატორს, ადგილობრივი ტრადიციების დამანგრეველს და ა.შ.

კრებული საზღვრების დადგენის არა მხოლოდ დასავლურ-ევროპულ სტრატეგიებს განიხილავს, არამედ პირველ რიგში სწორედ საპირისპირო მიმართულებიდან, აღმოსავლეთიდან წამოსულ მოძრაობას და მიზნად ისახავს არა ევროპის აღმოსავლეთით გაფართოების (დღევანდელ ენაზე, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“) პრაქტიკული პოლიტიკური განზომილებების პოლიტოლოგიურ თუ სოციო-ეკონომიკურ ანალიზს, არამედ იკვლევს იმ „სიმბოლურ აღჭურვილობასა და კულტურულ შესამოსელს“ (იხ. მარტინ ტრემლის შესავალი, გვ. 15), რომელიც ბოლო ოციოდე წლის ამ აქტუალურ ეკონომიკურ-პოლიტიკურ მოვლენას კულტურულ დონეზე დახვდა, როგორც კონტექსტი და წინაპირობა (ხშირად, წინალობა). ამდენად, კრებულში შესული სტატიები უფრო მეტად მოდერნული ეპოქის დასაწყისიდან მეოცე საუკუნის ბოლომდე პერიოდზე არის კონცენტრირებული, ვიდრე XXI საუკუნის ფენომენებზე.

ის, რასაც ზემოთ კულტურული კონტექსტი ვუწოდეთ, კრებულის ავტორები მიშელ ფუკოზე დაყრდნობით განსაზღვრავენ როგორც წესრიგს, იმ სივრცულ, სიმბოლურ, ვიზუალურ წესზომიერებას, რომლის მიხედვითაც რაიმე კულტურა თავის მწყობრ ყალიბს იძენს და რომლის მიხედვითაც მასში რაიმე საერთოდ მიღებადი, გაგებადი ან გამორიცხვადი და გასარიცხი ხდება. ევროპული კულტურის ისტორიის სწორედ ეს წესრიგი აღმოჩნდება მუდმივი ვაჭრობისა და მოლაპარაკების ფარ-

თო, ჭრელი სცენა, დასავლური ნეოფაშისტური თუ სხვა რეაქციონერული ძალებისთვის დღესაც სანუკვარი ქიმერული ევროპული სიწმინდისა და თვითკმარობის იდეის საპირისპიროდ. კრებულის ავტორები თანამედროვე ევროპისათვის ისეთი პერსპექტივის დასახვას ცდილობენ, რომელიც, ერთი მხრივ, ავტონომიურობას, ფესვგადგმულობასა და, მეორე მხრივ, ფესვამოძირკვეულობას შორის დილემის მიღმა იფუნქციონირებდა და „კარგი ევროპელის“ ხატის იმ ნიციშეანურ ხაზს გააგრძელებდა, რომელიც ჰოყოფით მიმართებაშია ევროპასთან, როგორც მრავალი, მრავლობითი, წარმომავლობის ნაზავთან (თუნდაც ხმელთაშუა ზღვის აუზისადმი გახსნილობით გამოწვეული მუდმივი ორმხრივი კულტურული გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე).

რამდენადაც საქმე არა უწესრიგობასთან ან დიქტომიურ, წესრიგსა და ქაოსს შორის გატარებულ განსხვავებასთან გვაქვს (რისი ცდუნებაც ასე ხშირად ჰქონია დასავლურ პერსპექტივას, რომელსაც უჭირს წესრიგი შეიტანოს თავისი „აღმოსავლეთის“ კულტურულ ლაბირინთში), კრებულის ავტორები საუბრობენ მრავალ, ამ შემთხვევაში ხუთგვარ წესრიგზე და თითოეული წესრიგის თავის მხრივ მრავლობით რიცხვშია განხილული: ტექსტუალური წესრიგები, ხატოწესრიგები (Bilderordnungen), ტანსაცმლის წესრიგები, აფექტების წესრიგები და საფუძველწესრიგები. კრებულის შესაბამისად ხუთ ნაწილადაა დაყოფილი, რომელთა ფარგლებშიც ავტორები ეხებიან საზღვრების გავლენისა თუ მოშლის მცდელობათა ლიტერატურულ, ლინგვისტურ, ფერწერულ მაგალითებს, სტრატეგიებს, რომლებიც აისახა „ეროვნული“ ტანსაცმლის გარშემო კონფლიქტებში, აფექტების ეკონომიის გარშემო ვაჭრობაში თუ მოლაპარაკებებში იმ ფართო გეოპოლიტიკური საფუძვლებისა და საძირკვლების გარშემო, რომლებიც სამართლებრივი საფუძველჩარჩოს მიღმა (და სამართლებრივ ჩარჩომდე) ანაწილებენ, აწესრიგებენ კულტურათა საარსებო სივრცეს ისეთი ზოგადი ფაქტორების მიხედვით, როგორებიცაა ზღვა, მიწა და ა.შ.

შემდგენელთა განცხადებული მიზანია, თავიდან იქნას აცილებული ის დაქსაქსულობა, რომლის შთაბეჭდილებაც ხშირად იქმნება ხოლმე მრავალავტორიან კრებულებში, ამ თავისთავად უკვე საკმაოდ გაუფასურებულ აკადემიურ ჟანრში, და თითოეულ ხსენებულ წესრიგს საერთო კვლევის საგნად აქცევენ. ოღონდ, შედეგად ვიღებთ არა ერთ შეკრულ სისტემურ თეორიას (რისი პრეტენზიაც წინამდებარე კრებულის კონცეფციასვე ეწინააღმდეგება), არამედ კულტურულ სტრატეგიათა კონკრეტული მაგალითების მოკლე და სხარტ აღწერებსა და ანალიზებს, რომელთა ფარგლებშიც აკადემიური „შრომის დანაწილება“ არა წესრიგების მიხედვით, არამედ

უმალ რეგიონების და, შესაბამისად, მკვლევართა რეგიონალური კომპეტენციების, მიხედვითაა გატარებული: გერმანია და მისი ურთიერთობა აღმოსავლეთთან (იანის აუგსბურგერი, ესთერ კილჰმანი), ბალკანეთი და მისი იდენტობის პრობლემები (ტატიანა პეცერი), სომხურ-თურქული კონფლიქტი (ვაჰე ტახიანი), ევროპული კულტურის ებრაული კომპონენტი (მარტინ ტრემლი,), ახლო აღმოსავლეთი (მარტინ ტრემლი, ბარბარა ვინკლერი, ანდრეას პფლიჩი, ჰელენ პრუიბილა), საქართველო როგორც ევროპულობასა და აზიურობას შორის პოლიტიკურად და კულტურულად გახლეჩილი სივრცე (ზაალ ანდრონიკაშვილი). ყოველივე მათგანის შემთხვევაში ნაჩვენებია, როგორ მეტყველებს, როგორ გამოიყურება, როგორ აცვია, როგორც განიცდის თუ როგორ და სად დგას თითოეული ეს რეგიონალური (კომპლექსური) ერთეული, როდესაც საქმე საერთო სივრცეებისა და საზღვრების, როგორც უამრავი ჰეტეროგენული კულტურული პრაქტიკით დახუნძლული საზოგადოებრივი, პოლემიკური ადგილების, მოწესრიგებასა თუ გადასინჯვაზე მიდგება.

ვინაიდან კრებულში ცხრა მკვლევარის ავტორობით შესული ოცდაათივე სტატია ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელი მინიატურაა, თავს ვიკავებთ თითოეული მათგანის შინაარსში ჩაღრმავებისგან. გამოვყოფთ მხოლოდ ზაალ ანდრონიკაშვილის წილ ტექსტებს, რომლებიც გერმანულენოვანი ქართველი მკითხველისთვის, მითუმეტეს, თუ იგი ქართულ კულტურას და ევროპასა და აზიას შორის მის მუდმივად პრობლემურ სტატუსს იკვლევს, განსაკუთრებული ინტერესის საგანი უნდა იყოს. ეს ტექსტები უმთავრესად სწორედ საქართველოს ეხება, გარდა საფუძველწესრიგების შესახებ მისი შესავალი ესეისა, რომელიც კარლ შმიტის კონცეფციაზე დაყრდნობით (და მის წინააღმდეგ) კულტურის წესრიგის ზე- თუ წინარესამართლებრივი განზომილებების კონცეპტუალურ მოხელთებას ისახავს მიზნად, რაშიც არა მარტო გეოპოლიტიკური ფაქტორი იგულისხმება, არამედ ყველაფერი ის, რაც შეიძლება ორმაგი გაგებით მოაზრებულ იქნას როგორც საფუძველი – ერთი მხრივ, ფუძე, საძირკველი, მეორე მხრივ კი, დაფუძნება, დადგენა.

კრებულის ფართო ტოპოგრაფიული და სიმბოლური კონტექსტის ფარგლებში საქართველოს საკითხის განხილვა, ბერლინის იგივე კვლევითი ცენტრის მიერ გიორგი მაისურაძისა და ფრანცისკა თუნ-ჰოპენშტაინის ავტორობით წელს გამოსულ წიგნთან ერთად „მზიანი საქართველო“, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რათა საქართველომ, როგორც უმდიდრესი პოტენციალის მქონე საკვლევმა საგანმა, გერმანულენოვან აკადემიურ სივრცეში ადგილი დაიმკვიდროს.

რამდენადაც მისასაღმებელია ეს აკადემიური „ექსპორტი“, რომელსაც ქართული ენობრივ-კულტურული სივრციდან გერმანულ-ევროპულ აკადემიურ სივრცეში გააქვს საქართველო როგორც აუთვისებელი (და დასაპატრონებელი?) „მასალა“, იმდენადვე სასურველი იქნებოდა ქართულ ენაზე მსგავსი ტიპის, უახლესი, კლასიკური თუ ექსპერიმენტული მეთოდოლოგიებით აღჭურვილი, მეცნიერული ხასიათის ვრცელი კვლევების გამოცემა, რომლებსაც აღარ მოუწევდათ, თითო სტატიას დაჯერებოდნენ ან, კომპრომისის სახით, ბლოგებსა თუ ესეისტური ჟანრის სტატიებს შორის გაფანტულიყვნენ ქართულ სივრცეში ელემენტარული რეცეფციის მისაღწევად. ხოლო, რადგან თვითონ აკადემიური სივრცე საქართველოში ჯერაც ერთგვარი ყამირი მიწაა პროდუქციასა და რეცეფციას შორის მწყობრი და აქტიური სამუშაო სისტემის თვალსაზრისით, სწორედ ამგვარი კვლევების ამოცანა და პასუხისმგებლობა იქნებოდა ხსენებული სივრცის მოწესრიგება.

ლუკა ნახუცრიშვილი

Alain de Botton. Religion for Atheists: A Non-Believer's Guide to the Uses of Religion. Penguin books 2012, 320 p.

ციურიხში (შვეიცარია) ებრაელთა ოჯახში დაბადებული აღენ დე ბოტონი ამჟამად ბრიტანეთში ცხოვრობს. ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხი მან ლონდონის სამეფო კოლეჯში მიიღო, რის შემდეგაც ჰარვარდის უნივერსიტეტშიც იწყებს სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას ფრანგულ ფილოსოფიაში, თუმცა მან იქ მუშაობა მიატოვა, მიიჩნია რა, რომ ფართო პუბლიკისთვის პოპულარულ ენაზე წიგნების წერა უფრო ღირებული იქნებოდა.

დე ბოტონი აფუძნებს ე. წ. „ცხოვრების სკოლას“. მისი ორგანიზებით გამოდის წიგნების სერია, რომელთა მიზანია როგორც ადამიანთა დახმარება სხვადასხვა ცხოვრებისეული სირთულეების დაძლევაში, ისე, ზოგადად, გარესამყაროს ახლებურ აღქმასა და გააზრებაში. აღენს სურს, დაამსხვრიოს სტერეოტიპი, რომ ე.წ. *self-help books* მხოლოდ სუსტ და გულუბრყვილო ადამიანებს სჭირდებათ. მისი აზრით, ყველა ადამიანი უმწეო და მოწყლვადია ცხოვრების ყველა სფეროში. ამიტომაც, სერიის ფარგლებში მოცემულია სხვადასხვა თემაზე (კარიერა, პირადი ცხოვრება, მოგზაურობა, ემოციური სიმწიფე, სექსი, ფინანსები...) დაწერილი წიგნი, რომელსაც შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების ავტორი ჰყავს. მაგალითად, წიგნს სახელწოდებით